



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 68

“ 29 ” მ ა რ ტ ი 2019 ♡

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, შ.დადიანის ქუჩა №9-ის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.15.05.075.024) შპს „სოლოლაკი 2017-ისთვის“ (ს/ნ: 405164806) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122¹ მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, შ.დადიანის ქუჩა №9-ის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.15.05.075.024) შპს „სოლოლაკი 2017-ისთვის“ (ს/ნ: 405164806) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 13 მარტის №19.286.372 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, შ.დადიანის ქუჩა №9-ის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.15.05.075.024) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სოლოლაკი 2017-ისთვის“ (ს/ნ: 405164806) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე